

ნათია დარსალია

ბრინჯაოს ჯვრის წარწერიანი ფრაგმენტი ვანის ნაქალაქარიდან

ვანსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დღემდე მოღწეული ქრისტიანული ხანის ისტორიული ძეგლები (ნაეკლესიარები, ნაციხ-არები) და არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად აღმოჩენილი მრავალფეროვანი მასალა (სამარხები, არქიტექტურული დეტალები, ეპიგრაფიკული ძეგლები, კერამიკული ნაწარმი, მონეტები და სხვ.) გვაწვრის დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან „ქვეყანას“ წარმოადგენდა. შუასაუკუნეების ვანის „ქვეყნის“ ისტორიის შესწავლაში დიდი როლი ეპიგრაფიკულ ძეგლებს ენიჭებათ. ვანის რეგიონის ტერიტორიაზე შემორჩენილი უძველესი წარწერების შეკრება და პირველი მეცნიერული პუბლიკაცია აკად. ე. თაყაიშვილის სახელთანაა დაკავშირებული [3: 7-19]. ე. თაყაიშვილის შემდეგ ვანის ეპიგრაფიკული ძეგლების კვლევის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მეცნიერებმა – გ. ბოჭორიძემ [1:43-52]; რ. შმერლინგმა [9:188]; ვ. სილოგავამ [7: 73-74; სურ. 51]; მ. ნიკოლეიშვილმა [4: 14-15; სურ. 4ა, 6].

ამჯერად განხილულია ბრინჯაოს ჯვრის ფრაგმენტი ნუსხური წარწერით. ჯვრის ფრაგმენტი აღმოჩნდა შემთხვევით 1967 წელს, ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე (ნაპოვნია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის გ. ყიფიანის მიერ ქსენია გიორგაძის ეზოს მახლობლად). ინახება აკად. ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის ვანის არქეოლოგიური მუზეუმის საფონდო განყოფილებაში (№ 07:1-67:465).

ჯვრის მკლავზე მოთავსებული წარწერა მისი აღმოჩენისთანავე ნაიკითხა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა მ. ბერძნიშვილმა (ტექსტი დაცულია ბრინჯაოს ჯვრის ფრაგმენტთან ერთად ვანის არქეოლოგიური მუზეუმის ფონდში).

ჯვრის შემორჩენილი ფრაგმენტის ზომაა 50x40 – 17 მმ². ჯვრის მკლავზე მოთავსებულია წარწერა – ოთხი სტრიქონი, ტექსტი ფრაგმენტულია, უჭირავს ფართობი 50x15 მმ, წარწერა შესრულებულია სწორი გრაფიკული ნუსხურით, ზომიერი კვეთით, თანაბარი პროპორციების მქონე წვრილი ასოებით. წარწერა კიდურწერტილოვანი დამწერლობის ნიმუშს წარმოადგენს. ქარაგმის ნიშანი მოცემულია სწორი, განივი ხაზით. საფიქრებელია, რომ მოღწეული ფრაგმენტის პარალელურ მკლავზე მოთავსებული იქნებოდა

გვხვდება კუთხოვანი ფორმით, ხოლო მესამე სტრიქონში მეოთხე გრაფემად ასწვრივ ხაზზე – კლაკნილის დასმით; 8) ქ-ს განივ მკლავს აღენიშნება სხვადასხვა მხარეს მიმართული დამატებითი ხაზები; 9) რ გადმოცემულია ზომიერად მორკალური მუცლით; 10) ს-ს ბუნი ოდნავ მარჯვნივაა გადახრილი (შდრ. 2, გვ. 160-161, 202-203, 239. 6, გვ. 29, 31-33. 7, გვ. 49-51, 57, 69-72, 75, 86-87, 97-98, 105, 111, 113, 115. 8, გვ. 91, ტაბ. 45 (A95), გვ. 93, ტაბ. 46 (მ4927). 10, გვ. 120-122).

პალეოგრაფ ვ. სილოგავას განსაზღვრით ძეგლი XI საუკუნით თარიღდება.

ვანის ნიმუშზე თავისებურია წარწერის მოთავსება ჯვრის მკლავზე (ჩვეულებრივ, წარწერა შესრულებულია ჯვრის მკლავებს შორის, ან ჯვრის შესამკობელ ნაწილებზე. შდრ. 4, გვ. 13, №3857, სურ. 3. 7, გვ. 56-57, სურ. 35; გვ. 105, სურ. 86). ამ ნიმუშით XI საუკუნის ქართულ ძეგლებზე მას ჯერჯერობით ანალოგი არ მოეძებნა.

წარწერის შინაარსზე, ფრაგმენტულობის გამო ჭირს საუბარი, მაგრამ შემორჩენილი ტექსტის მიხედვით აშკარაა, რომ იგი ეკლესიისთვის განკუთვნილ შემქმნელ-შემწირველთა მოსახსენებელს წარმოადგენდა (გამოიკვეთა საკუთარი სახელები თეოდორე და ბოე). წარწერის მ. ბერძნიშვილისეული ნაკითხვის მიხედვით, ჯვრის შემქმნელს სარეციც მიუძღვნია ეკლესიისთვის.

ვანში აღმოჩენილ ბრინჯაოს ჯვრის წარწერიან ფრაგმენტს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც ისტორიულ წყაროს და მას გარკვეული წვლილის შეტანა შეუძლია შუასაუკუნეების ვანის „ქვეყნის“ ისტორიის შესწავლაში.

მითითებული ლიტერატურა

1. ბოჭორიძე გ., იმერეთი, თბ., 1995, გვ. 43-52
2. ბოჭორიძე გ., რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბ., 1994, გვ. 160-161; 202-203; 239.
3. თაყაიშვილი ე., არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, ტფ., 1907, გვ.7-19.
4. ნიკოლეიშვილი მ., ქუთაისის მუზეუმის ეპიგრაფიკული ძეგლები, ქუთაისის მუზეუმის შრომები. კრებული XIII, ქუთაისი, 2001, გვ. 13-15; სურ. 3; 4ა; 6. №3857.
5. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI, თბ., 1960, გვ. 782.
6. ქართული ნარწერების კორპუსი. ლაპიდარული ნარწერები, ტ.1 (აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა), თბ., 1980, გვ. 29, 31-33.
7. ქართული ნარწერების კორპუსი. ლაპიდარული ნარწერები, ტ. II (დასავლეთ საქართველოს ნარწერები (IX-XIII სს.) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ), თბ., 1980, გვ. 56-57; 49-51; 69-75; 86-87; 97-98; 105; 111; 113; 115. სურ. 51.
8. ქართული წერის ნიმუშები. პალეოგრაფიული ალბომი (შეადგინა ი. აბულაძემ), თბ., 1949, გვ., 91 ტაბ. 45 (A-95); გვ. 93, ტაბ. 46 (შ-4927).
9. შმერლინგი რ., ნმ. გორგის ქანდაკება ვანიდან. X ს., საქ. სსრ. მეცნ. აკად. მოამბე, თბ., 1956, ტ. XVII, №2, გვ. 188.
10. ჯავახიშვილი ივ., ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 120-122.

Natia Darsalia

Fragment with a bronze cross inscription from Vani settlement

Summary

Bronze cross fragment with Nuskhuri inscription (pic. 1) was discovered in 1967, on the central terrace of Vani settlement. An inscription consisting of four lines is placed on the arm of the cross. The text is fragmented and reads as follows:

As defined by the paleograph V. Silogava, the monument dates 11th century.

The fragment of the bronze cross discovered in Vani may make certain contribution to the study of the history of the “country” of Vani in Middle Ages.

